

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №3 მარტი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იმგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

მართლმადიდებლობის ზეიმი (დ. მ. I კვირა)

VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიაში წარმოიშვა ხატმებრძოლობის სახელით ცნობილი ერესი, რომელსაც იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა ჩაუყარა საფუძველი. ხატმებრძოლებმა წმინდა ხატები კერპებად გამოაცხადეს და მართლმადიდებლებს კერპთაყვანისმცემლობაში სდებდნენ ბრალს. მათ ეჭვქვეშ დააყენეს წმინდა ხატების საჭიროება და ამტკიცებდნენ, რომ სამოციქულო სწავლება ამას არ მოითხოვდა. ხატმებრძოლები შეურაცხყოფდნენ და ანადგურებდნენ ხატებს. ხატთა თაყვანისმცემლებს კი სდევნიდნენ.

ხატმებრძოლები თავიანთ საქციელს ასე ხსნიდნენ: სახარებაში არსად არის მინიშნებული ამის შესახებ და არც წინა ექვს მსოფლიო კრებას დაუკანონებია ხატების თაყვანისცემაო.

VIII საუკუნის მიწურულს — 787 წელს, ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ჩატარდა VII მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც ხატმებრძოლობა დაგმო და ხატთა თაყვანისცემა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოების ნაწილად აღიარა. ამის მიუხედავად, ხატმებრძოლობის საბოლოო დამარცხება ვერ მოხერხდა.

824 წელს ბიზანტიაში მოიწვიეს აღგილობრივი საეკლესიო კრება, რომელმაც VII მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებზე დაყრდნობით, ხატმებრძოლთა ერესი დაგმო. გამოცხადდა მართლმადიდებლობის გამარჯვება ხატმებრძოლებზე და დაწესდა მართლმადიდებლობის ზეიმი, რომელიც დიდმარხვის პირველ კვირას აღინიშნება.

8(24) მარტი — იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მეორედ პოვნა

წმიდა იოანეს თავის კვეთის შემდეგ წმიდა თავი უსჯულო ჰეროდიადამ უპატიო აღგილას დაფლა. კეთილმსახურმა იოანემ, ჰეროდეს ეზოს მოძღვრის, ქოზას ცოლმა იოანეს თავი ფარულად ჩადო პატიოსან ჭურჭელში და ელეონის მთაზე მიაბარა მიწას. მრავალი წლის შემდეგ ეს აღგილ-მამული კეთილმსახური დიდებულის, ინოკენტის მფლობელობაში გადავიდა, რომელმაც აქ ტაძარი ააშენა. ტაძრის შენების დროს აღმოჩენილ იქნა ჭურჭელი უფლის წინამორბედის თავით. ეს იყო იოანე ნათლისმცემლის თავის პირველი პოვნა. ინოკენტი კრძალვეთი ინახავდა მას, მაგრამ სიკვდილის წინ, იმის შიშით, რომ სიწმინდე უსჯულოებს არ ჩავარდნოდათ ხელში, იმავე აღგილას ჩაფლა, საიდანაც ამოიღო. შემდეგ ეს აღგილი თანდათან გაუდაბურდა.

მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის ზეობისას, ქრისტიანობის აყვავების ხანაში, წმიდა აღგილების მოსალოცად ჩასულ ორ ბერს იერუსალიმში ორჯერ გამოეცხადა უფლის წინამორბედი და თავისი პატიოსანი თავის აღგილსამყოფელი ამცნო. ბერებმა ამოთხარეს სიწმინდე. აქლემის ტყავის ტომარაში ჩადეს და შინისაკენ გამობრუნდნენ. გზად მათ შეხვდათ უცნობი მექოთნე და ძვირფასი ტვირთი მას მისცეს სატარებლად, მეკეცემ არ იცოდა, რა სიწმინდე მიჰქონდა, მაგრამ მას თავად ნათლისმცემელი გამოეცხადა და უბრძანა, გაქცეოდა დაუდევარ ბერებს და თან გაეყოლიებინა ისიც, რაც ხელთ ეჭირა. ღმერთისმოყვარე ხელოსანი განერიდა თანამგზავრებს. შემდგომ იგი პატივით ინახავდა წმიდა თავს. სიკვდილის წინ კი დას გადასცა. ამ დროიდან სიწმინდე მემკვიდრეობით გადაეცემოდა ღვთისმოშიშ ქრისტიანებს მანამ, სანამ მისი მფლობელი არ გახდა ერეტიკოსი მღვდელმთავარი ვესტათი. იგი პატიოსანი თავის სიწმინდის ძალით კურნავდა სნეულებს, აღასრულებდა სასწაულებს. ყველაფერ ამას კი ერესის მადლს მიაწერდა და აცდუნებდა გამოუცდელ სულებს. როცა ევსტათის ბოროტმოქმედება გაცხადდა, ის იძულებული გახდა გაქცეულიყო, სიწმინდე კი ემესის მახლობელ მღვიმეში დამალა. გამოქვაბულში დამკვიდრდნენ კეთილმსახური ბერები. შემდეგ კი აქ მონასტერიც დაარსდა. 452 წელს სავანის არქიმანდრიტ მარკელეს იოანე ნათლისმცემელმა თავისი წმინდა თავის აღგილსამყოფელი აუწყა. ეს მოვლენა სიწმიდის მეორედ პოვნის სახელით იდღესასწაულება. ნათლისმცემლის პატიოსანი თავი ჯერ ემესეში გადაასვენეს, შემდეგ კი — კონსტანტინეპოლში.

ხსენება ცხრა ყრმა კოლაელთა

მდინარე მტკვრის სათავეში მდებარეობდა სოფელი კოლა. აქ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქრისტიანები და წარმართები. ამ მხარეში, მოსახლეობის უმეტესები კერპთაყვანისმცემელი იყო.

ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები, მთელი დღეების განმავლობაში, ერთად თამაშობდნენ. საღამოს, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკავდნენ, ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და ტაძარში მიდიოდნენ სალოცავად. მათ აედევნებოდნენ ხოლმე წარმართი ყრმები, რიცხვით ცხრანი — გუარამი, ადარნასე, ბაქარ, ვაჩე, ბარძიმ, დაჩი, ჯუანშერ, რამაზ და ფარსმანი.

ეკლესიის კარებთან ბავშვებს აჩერებდნენ და ეუბნებოდნენ: „თქუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსვლაი თქუენი სახლსა ღმრთისასა“.

ერთხელ ბავშვებმა ძალით მოინდომეს ეკლესიაში შესვლა. ქრისტიანებმა მათ აუხსნეს „უკუეთუ გნებავს შემოსვლად ჩვენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტეი და ნათელიღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტიანეთა“.

ყრმებმა სიხარულით აღუთქვეს ქრისტიანებს, რომ მოინთლებოდნენ. კოლაელი ქრისტიანები სოფლის მღვდელთან მივიდნენ და აუწყეს ყრმათა სურვილი. იგი არ შეუშინდა წარმართთა რისხვას და ზამთრის სუსხიან ამინდში ბავშვები მდინარეზე წაიყვანა მოსანათლად. ხუცესმა

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

გაყინულ მდინარეში ჩაიყვანა ბავშვები და ნათელ-სცა მათ. ნათლობის დროს მოხდა სასწაული: წყალი გათბა და ყრმებმა ნათლის ანგელოზი იხილეს. ამგვარი ღვთაებრივი ნიშნისაგან რწმენაგანმტკიცებულმა ბავშვებმა აღარ ისურვეს. წარმართ მშობლებთან დაბრუნება და ქრისტიანებთან დარჩნენ.

განრისხებულმა წარმართმა მშობლებმა მთავრისაგან ბავშვების ქვით ჩაქოლვის ნებართვა ითხოვეს. მათ მდინარეს სათავესთან, იქ, სადაც ყრმებმა ნათელ-იღეს, დიდი ორმო ამოთხარეს და ბავშვები შიგ ჩაყარეს. „ჩუენ ქრისტიანენი ვარ და მისთვის მოვსწყდებით და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელ-ვიღეთ“. — ეს იყო ყრმათა უკანასკნელი სიტყვები. უსჯულო მშობლებმა პირველებმა აიღეს ქვები, შემდეგ თავმოყრილმა ბრბომაც მიპბაძა მათ და მალე ორმო ქვებით ამოავსეს. წარმმართებმა სიკვდილის პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც, გაძარცვეს და ნაძარცვი ერთმანეთში დაინაწილეს.

ეს ამბავი მოხდა VI საუკუნის სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში.

12(25) მარტი — ხსენება წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულისა (+1289)

წმინდა მეფე, დემეტრე თავდადებული, წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის შვილთაშვილი იყო. სიყრმიდანვე განსაცდელებით წვრთნიდა უფალი მომავალ მეფესა და მოწამეს.

მეფე გონივრულად და გულმოწყალებით განაგებდა ქვეყანას. შედარებით მშვიდ პერიოდში ააშენა და განაახლა ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხესიმაგრე. მეტი არ დასცალდა დემეტრე მეფეს — ყაენმა ეგვიპტეზე სალაშქროდ იხმო, შემდეგ, 1278 წელს, გილანის დალაშქვრაში ახლდა მონღოლთა ყაენს. 1280 წელს ეგვიპტის წინააღმდეგ იბრძოდა ქართველთა ლაშქრით. ამდენი ლაშქრობისაგან ქვეყანა გადატაკდა.

უფალმა სასჯელი მოუვლინა „საზეპურო ერს“. ვნების ოთხშაბათსა და ხუთშაბათს მიწა იძრა „სამხილებელთა უსჯულოებათა ჩვენთათჳს“.

ყაენმა ღალატის ბრალდებით დაიბარა მეფე დემეტრე.

მეფეს შეეძლო თავი შეეფარებინა მთიულეთს, მაგრამ იცოდა, რომ განრისხებული ყაენი ქართველ ხალხზე იძიებდა შურს და საქართველოს მოაოხრებდა. მან შეკრიბა დარბაზი და განუცხადა: „უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“.

დარბაზი გაკვირვებული მისჩერებოდა „შესახედავად ტურფა, თმითა და წყერითა მწყაზარ და შუენიერ“ მეფეს, რომელიც ერის გადასარჩენად აშკარა სიკვდილზე მიდიოდა.

შესრულდა განაჩენი და წმინდა მეფე დემეტრე მეფეს თავი მოჰკვეთეს.

სიკვდილის წინ მეფე დემეტრემ ილოცა, მიიღო წმიდა ზიარება და სული უფალს შეავედრა.

კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა ფარულად გამოიხსნეს ცხედარი და საქართველოში ჩამოასვენეს.

წმინდა მოწამე მეფე, დემეტრე თავდადებული დაკრძალეს მცხეთას, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, „სამარხოსა მამათა მათთასა“.

12(25) მარტი — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

1811 წლის 10 ივნისს, ალექსანდრე I, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს წერს: „საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოერთების შემდეგ, საქართველოს ეკლესიაც უნდა გაერთიანდეს უწმინდესისა და უმართებულესის სინოდის გამგეობაში. ახალ მართვა-გამგეობასთან მოუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათალიკოსის ყოფნა... გითხოვთ თქვენ საქართველოს ეკლესიის განმგებლობისაგან, უწმინდესის სინოდის წევრობისა და კათალიკოსის სახელის შენარჩუნებით“... ასე გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ანტონ II რუსეთში გადაასახლეს. რაღაც ათი წლის მანძილზე საქართველომ მეფეც დაკარგა და მამამთავარიც. პოლიტიკურ თავისუფლებადაკარგულმა საქართველომ, ეკლესიური დამოუკიდებლობაც დაკარგა.

1917 წლის 12(25) მარტს, ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე მიიღო შემდეგი შინაარსის დოკუმენტი:

1. ამიერიდან, 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია...

იმავე წლის სექტემბერში, ქართულმა ეკლესიამ ასევსწლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ, კვლავ აირჩია კათალიკოს-პატრიარქი. ეს პატივი და ჯვარი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, კირიონს, რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში.

ღვთის განგებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოფლიოს ყველა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური.

ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაუდალავი მოღვაწეობით, მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. ამავე წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა ყოვლადუწმინდესმა დიმიტრიოსმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის და მტკიცებისა და საქართველოს უწმინდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების სიგელი.

ეს იყო უდიდესი გამარჯვება და სიხარული. ამ ამბავს გამოეხმაურა სრულიად საქართველო. როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღნიშნა, ეს იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საზეიმო და საბოლოო აღიარება.

„იყავი შენ მოსავ ყოველითა გულითა შენითა უფლის მიმართ და სიბრძნეს შენსა ნუ აჰყვები“ (იგავ. 3,5)

გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა სტატია „მათთვის, ვისაც ჰოროსკოპების სჯერა“. გვინდა ამ ნომერშიც გესაუბროთ ცრუმორწმუნეობისა და ცრუსწავლების მავნებლობის შესახებ.

ჩვენი დღევანდელი სინამდვილისათვის ნიშანდობლივია სხვადასხვა ცრუსწავლებების მოძალება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ცნობიერებას და უპირველესად მოზარდი თაობისათვის არის დამღუპველი. აქ საჭიროა იმის გაცნობიერებაც, რომ არათუ საკუთარი თავის იმედითა და ამაო ცნობისმოყვარეობით ცრუსწავლებების განჩხრეკას მივყოთ ხელი, არამედ ორი აღთქმის კეთილგონიერებას მინდობილნი, ეკლესიის წიაღში წმიდა მამათა ღვთივსულიერ სწავლებას დავეწაფოთ. სხვაგვარად სულიერი ექსპანსიისა და ძალადობის დროში, მთელი ერი გარდაუვლად სულიერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

მკითხველისათვის აღნიშნული სიტყვები შეიძლება ზედმეტად გადაჭარბებულადაც ჩანდეს, რის გამოც დავძენთ, რომ არაერთი შემთხვევაა, როცა მართლმადიდებლურ ტრადიციად თუ მოძღვრებად ინათლება ის წარმართული ცრურწმენები და სწავლებები, რომელსაც ეკლესია საუკუნეთა მანძილზე ებრძოდა.

სამწუხაროდ, სწორი რელიგიური ინფორმაციის ნაკლებობის გამო ბევრ ჩვენგანს არამართებულად ესმის ამ მისტიკური მოძღვრების ასტროლოგიის „ჭეშმარიტი“ არსი. ასტორლოგიით განსაკუთრებით გატაცებულია ახალგაზრდობა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ელემენტალური რელიგიური განათლება არ გააჩნია. ბევრი მათგანი ასტროლოგიას აღიქვამს ამა თუ იმ ადამიანის პიროვნულ ნიშანთვისებათა განმსაზღვრელი მეცნიერების დონეზე და წარმოდგენა არა აქვს, რომ იგი მჭიდრო კავშირშია მაგიასთან. III საუკუნის ქრისტიანული ღვთისმეტყველი და აპოლოგეტი ტერტულიანე თავის ნაშრომში — „კერპების შესახებ“ — ამბობს, რომ ასტროლოგია არის მაგიის სახესხვაობა. დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ასევე ვნახულობთ დამოწმებას ასტროლოგიასა და მაგიას შორის მჭიდრო კავშირის შესახებ (დან. 2:27).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი შეხედულების რეკლამირებისას, ზოგიერთი ტელეარხი და ჟურნალ-გაზეთიც უწყობს ხელს, რაც მცდარი გეზით მიმართავს ადამიანთა ცნობიერებას. ქუჩაში უხვად გამოფენილი ლიტერატურა გვთავაზობს „ვეძიოთ ვარკვლავი ჩვენი“, ხოლო ტელევიზია გადაცემაში „ვარსკვლავები გვამცნობენ“ გვასწავლის ასტროლოგიურ პროგნოზს იმის შესახებ, თუ „რა გველის დღეს“. „საყვარელნო, ყველა სულს ნუკი ენდობთ, არამედ გამოსცადეთ, ღვთისაგან არიან თუ არა სულნი, იმიტომ რომ მომრავლდნენ ცრუწინასწარმეტყველნი ქვეყნად“ (იოანე 4:1).

ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ასტროლოგია განმარტებულია, როგორც ცრუ მეცნიერება, რომელიც ცდილობს გამოიცნოს ცალკეული პიროვნებისა და ხალხების მომავალი. ზეციურ მნათობთა განლაგებაზე დაკვირვების შედეგად მინდა აღვნიშნო, რომ ბიბლიასა და წმ. მამათა თხზულებებში ასტროლოგია რამდენიმე სახელწოდებით მოიხსენიება. კერძოდ, ვარსკვლავთმრიცხველობა. ვარსკვლავთმჭვრეტელობა, ვარსკვლავთმეტყველება და სხვა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დედა, გილოცავ!

დედის დღე

ამქვეყნად დედა ყველაზე თბილი, სათაყვანებელი და პატივსაცემი ადამიანია. დედა ყველაზე მეტად უნდა გვიყვარდეს და ვუფრთხილდებოდეთ. მან მოგვავლინა ამ ქვეყანაზე, ის გვზრდის, ზრუნავს ჩვენზე და დედობრივ სიყვარულსა და სითბოს იჩენს ჩვენს მიმართ.

მე მინდა, რომ დედამ დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოხლოს, იბედნიეროს და იამაყოს თავისი შვილებით. ჩემს დედას შეუძლია სამშობლოს ღირსეული შვილები აღუზარდოს.

დედა, გილოცავ დედის დღეს. გისურვებ საუკეთესოს და დიდხანს სიცოცხლეს. დედა, ძალიან მიყვარხარ!

ნიკოლოზ ქუშაშვილი
გიმნაზიის V კლასის მოსწავლე

ნახატი მარიამ სუჯაშვილისა

როგორ მივულოცე დედას 3 მარტი

დედის დღე განსაკუთრებულია ჩვენს ცხოვრებაში. დედა — მუდამ ჩვენზე მზრუნველი, ჩვენთვის თავდადებული. რამდენი უძილო ღამე, ფიქრი და დარდი გადადის მის მხრებზე. ამას ახლა უფრო ვხვდები, ალბათ, გავიზარდე და იმიტომ. წელს მინდოდა ისეთი რამე გამეკეთებინა, რომ დედა გამეხარებინა და სამახსოვროდ დარჩენილიყო ეს დღე მისთვის. ამისათვის კი წინა დღესვე დავიწყე სამზადისი, ვისწავლე ლექსი დედაზე, გავამზადე მისალოცი ბარათი. დილით ადრე ავდექი. როდესაც დედა შემოვიდა, ჩავეხუტე, მისალოცი ბარათი გადავეცი და ლექსიც ვუთხარი. დედას გაუხარდა, მადლობა გადამიხადა და მითხრა: ეს დღე ჩემთვის საუკეთესო არისო. დედა ბედნიერი იყო.

რუსუდან ტატიშვილი
V კლასის მოსწავლე

დედა

დედა ყველაზე სანუკვარია
დედა ყველაზე საყვარელია
დედა მშვიდობის დამყარებელი,
დედა შვილების გამხარებელი.

იმედი დილის, მშვიდობა ღამის,
დედა ყვავილის ამყვავებელი,
დედა სამყაროს გამხარებელი,
დედა სამშობლოს მადლის მფარველი.

ლევან თექთურმანიძე
გიმნაზიის V კლასის მოსწავლე

უწმინდესის გამონათქვამები:

„არასოდეს ჩავარდეთ სასოწარკვეთილებაში, ყოველ გრიგალს სიმშვიდე მოსდევს, სიბნელეს — განთიადი და სინათლე, დასავლეთს — აღმოსავლეთი, დაცემას — სინანული, ყოველ „ჯვარცმას“ „აღდგომა“, ყოველ პრობლემას მისი მოგვარება, ყოველ ცრემლს — ღიმილი, ყოველი დაბრკოლებისა და სირთულის შემდეგ უფალი იესო ქრისტე მოდის!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ჩემი მისაბაძი ადამიანი

ვსწავლობ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში. ჩვენთვის, ბავშვებისათვის, გიმნაზიაში ბევრი მისაბაძი ადამიანია, როგორც მასწავლებლების, ასევე მომსახურე პერსონალის სახით. მაგრამ ახლა მე მინდა ვისაუბრო ჩვენი გიმნაზიის ექიმზე. ეს არის ქალბატონი ნათელა სუჯაშვილი. ის წლების განმავლობაში მუშაობს ჩვენთან და უნდა ვთქვა, რომ მისი იმედი გვაქვს ყველას. ჯანმრთელობის მხრივ თუკი ოდნავ პრობლემები შეგვექმნება, მუდამ ჩვენთანაა, ყურადღებას არ გვაკლებს და სანამ არ გამოვჯანმრთელდებით, გვერდში გვიდგას. მაგრამ ნათელა ექიმი მე მარტო მისი პროფესიის გამო არ მომწონს. ის არის მრავალშვილიანი სანიმუშო დედა. ვიცით, რომ მისი აღზრდილი შვილები გამოირჩევიან თავისი მაღალპროფესიულობით. ამას გარდა, ჩვენი ნათელა ექიმი არის რელიგიური ქალბატონი. ცხოვრობს ეკლესიურად და ამ მხრივაც ჩემთვის ის მისაბაძია.

ჩემი და ჩემი კლასელების სახელით მინდა ნათელა ექიმს მივულოცო დედის დღე. ვუსურვო ჯანმრთელობა და გახარება თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ყოფილიყოს მუდამ ასეთი აქტიური და მისაბაძი ადამიანი.

ნათია სამჭანაშვილი
გიმნაზიის VIII კლ. მოსწავლე

კონკურსში გამარჯვებული

კონკურსში გამარჯვებული მარიამ სუჯაშვილი წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ნიჭიერი მოსწავლეა. ის სწავლობს VII კლასში, მისი ნახატები სისტემატურად იბეჭდება „ჩემი გიმნაზიის“ ფურცლებზე. ის ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის კონკურსებში და მისი ნახატები ყოველთვის მოწონებას იმსახურებს.

ახლაც საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდების სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა ჩაატარა კონკურსი „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ და როგორც გამაჯრებული, მარიამი დაჯილდოვდა სიგელით.

ვულოცავთ მარიამს ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ფრენბურთში გამარჯვებულები

ყაზბეგის რაიონის მუნიციპალიტეტის ინიციატივით მიმდინარე წლის 21, 22, 23 მარტს ჩატარდა რაიონის საჯარო სკოლებსა და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეთა შორის შეჯიბრი ფრენბურთში. გიმნაზიის მოსწავლეებს შორის ფინალურ მატჩში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: მარიამ მაისურაძე, სოფი ჯეჯელავა, სოფო ღუდუშაური, თამარ ვალიშვილი, ანა ხიბლაშვილი და ანი ნადიბაიძე. გიმნაზიის მოსწავლეებმა შეჯიბრი დამაჯერებელი ანგარიშით მოუგეს მოწინააღმდეგეს და მოიპოვეს რეგიონალურ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება, რომელიც 20 მაისს ჩატარდება ქალაქ მცხეთაში.

ვუსურვებთ წმ. ილია ამრთლის სახელობის გიმნაზიის ნორჩ სპორტსმენებს რეგიონალურ შეჯიბრშიც ასევე ესახელებინოს გიმნაზია.

IV საუკუნის წმინდანი დიდი მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი თავის ეგზეგეტიკურ ნაშრომში ბეთლემში მოგვთა მოსვლაზე საუბრისას საცნაურჰყოფს, რომ ვარსკვლავთმრიცხველებად იწოდებიან სწორედ ისინი, ვინც ზოდიაქოს ნიშანთა მიხედვით ცდილობენ განსაზღვრონ ადამიანთა მომავალი თუ პიროვნული ნიშან-თვისებანი. სიტყვა „ზოდიაქო ბერძნული სიტყვიდან „ძოონ“ (ცხოველი) არის წარმოდგენილი, რომლის ამგვარი სახელწოდებაც იმით არის განპირობებული, რომ თანავარსკვლავედებს უძველესი დროიდანვე (უმთავრესად ცხოველების სახელებით მოიხსენიებდნენ). ცნება „ზოდიაქოს“ აღსანიშნავად ძველ ქართულ ენაში რამდენიმე ტერმინი გვხვდება: — „ცხოველთა სახელველი“ ანუ „ცხოველთა სახილავი“, „ბურჯი“ და „ეტლი“ (იხ. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“). ბიბლიაში არაერთგან არის ნახსენები და დაგმობილი ვარსკვლავთმისნობა. ამ მიმართულებით თავიდანვე ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მართლმადიდებლობისათვის არათუ რომელიმე, არამედ ნებისმიერი სახის მკითხაობა და მათ შორის ადამიანთა ბედის ვარსკვლავთა და პლანეტების ურთიერთგანლაგებასთან დაკავშირებითაა მიუღებელი. მოვიყვანთ სხვა შემთხვევას, ადამიანს შეუძლია ყავა მოსვას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყავაზე მკითხაობაა დაუშვებელი. ხილული ზეცის თანავარსკვლავებად, ზოდიაქოებად დაყოფა შეიძლება, ოღონდ ვარსკვლავებზე მკითხაობა არა. ამდენად ზოდიაქოს ნიშნებს, არც ზზეს, არც მთვარეს ეკლესია არ უარყოფს. ეკლესია ამხელს ღვთის მიერ ბიბლიურ მეოთხე დღეს შექმნილი ციური მნათობების მეშვეობით ადამიანთა ბედზე ცრუბრძნობას, ვარსკვლავთმისნობას.

ძველთაგანვე ასტროლოგია ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლების მხრიდან აღიქმებოდა, როგორც უფლისაგან განდგომა და ბოროტ ძალთა სამსახური. ძველ აღთქმისეულ ეპოქაში ისრაელში აღმოცენებული ჯადოქრები, მოგვები, ვარსკვლავთმრიცხველები, მისნები ჩაქოლვით ისჯებოდნენ. იმდენად მკაცრად მოითხოვდა ღმერთი ხალხს არ ემსახურა ზეციური სხეულებისადმი და არ ეცა თაყვანი მათთვის, რომ ამ მოთხოვნის დამრღვევთა სიკვდილით დასჯას ბრძანებდა (იხ. II სჯული, 17, 2-5).

ახალი აღთქმის მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია ამგვარ საქმეთა მოქმედს მრავალი წლით განაშორებს ზიარებას. დიდი სჯულის კანონში უაღრესად ნათლად არის ასახული მისნობის ნებისმიერი სახის და მათ შორის ვარსკვლავთმეტყველების მიუღებლობა მართლმადიდებლობისათვის, რასაც კრძალავს:

— კონსტანტინეპოლის, 691 წ. ე. წ. ტრულის კრების 61-ე კანონი.
— ლაოდიკიის ადგილობრივი საეკლესიო კრების 36-ე კანონი.
— ანკვესიის ადგილობრივი საეკლესიო კრების 24-ე კანონი.
— წმ. ბასილი დიდის 72 კანონი.
— წმ. იოანე მმარხველის 27-ე კანონი და სხვა მრავალი

ბერ-დიაკონი კონსტანტინე ლურსმანაშვილი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სწავლება და აღზრდა განუყოფელია

სწავლება და აღზრდა განუყოფელი ცნებებია და დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან. მისი მიზანია განათლებული და კარგად აღზრდილი თაობის მიღება.

აღზრდა მოიცავს ადამიანის გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდას.

აღზრდა პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესია. აღზრდა ნიშნავს ადამიანის მსოფლმხედველობის, ზნეობის, ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებას, მის ფიზიკურ სრულყოფას.

ადამიანი არ იბადება პიროვნებად, არამედ იგი აღზრდის პროცესში და ამ განვითარება-ფორმირებაში ყალიბდება.

ყოველივე ზემოაღნიშნული გულისხმობს აღმზრდელის დიდ პასუხისმგებლობას.

ჩემი აღმზრდელად მუშაობის თოთხმეტწლიანი გამოცდილება, პედაგოგიური განათლება მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თუ გავითვალისწინებთ აღსაზრდელის ინდივიდუალობას, აღმზრდელობითი მუშაობა იქნება ეფექტური.

წმინდა ილია მართლის სახელობის დ. სტეფანწმინდის გიმნაზია-პანსიონში მეუფე იეგუდიელის ძალისხმევითა და ხელშეწყობით ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება; პიროვნებისა, რომელშიც შერწყმული იქნება სულიერი სიმდიდრე, ზნეობრივი საწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული თითოეული აღმზრდელის მუშაობა.

მოსწავლეთა სულიერ და ესთეტიკურ განვითარებას ემსახურება გიმნაზიაში გახსნილი წრეები. წრეობრივი მუშაობის მიზანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ნიჭისა და შესაძლებლობების შესაბამისი უნარების გამოვლენა, არამედ მათმა ჩართულობამ შესაძლებელია მათი მომავალი პროფესიაც კი განსაზღვროს.

მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებას ხელს უწყობს გიმნაზიის კარგად აღჭურვილი თანამედროვე სპორტული დარბაზი, სადაც ხშირად ტარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

მრავალი პრობლემა, რომელიც იდგა როგორც აღმზრდელთა, ისე მთლიანად გიმნაზიის წინაშე, ამჟამად აღმოფხვრილია. ეს იყო: კლასების სიმცირე, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკის ფონდის არარსებობა, ტექნიკის არქონა და სხვ.

ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პანსიონის მოსწავლეებმა კარგად ისწავლონ, დაისვენონ და თავი იგრძნონ ისე, როგორც საკუთარ ოჯახში. გოგოების და ბიჭების სამეცადინო ოთახები შეივსო კომფორტული, რბილი ავეჯით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მეუფეს.

ჩვენი მოკრძალებული თხოვნა იქნება, თუ გიმნაზიის ბიბლიოთეკა შეივსება იმ საჭირო დამატებითი ლიტერატურით, რაც მოსწავლეებს დაეხმარება არა მხოლოდ გაკვეთილების ღრმა და საფუძვლიანი, არამედ სხვადასხვა საგნებში საპრეზენტაციო მასალების მომზადებისას.

ჯულიეტა ავსაჯანიშვილი
გიმნაზიის უფროსი ჯგუფის აღმზრდელი

რას გვეტყვით, მამაო?

რატომ არის მთელი წლის განმავლობაში დაწესებული ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვები?

ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვა დაწესდა იმიტომ, რომ ოთხშაბათს გასცეს მაცხოვარი, ხოლო პარასკევს — ჯვარს აცვეს. ამიტომ ეს დღეები გლოვის დღეებია ყველა ქრისტიანისათვის.

აქვს თუ არა მარხვას ბოროტ სულზე ზემოქმედების საშუალება?

მარხვით დემონები განიდევნებიან. მარხვა მტრისათვის ისეთივე მსახვრალი იარაღია, როგორც ქრისტეს ჯვარი და სხვა სიწმინდეები, რომელთაც ვერ უძლებს დემონის უწმინდურობა. მარხვა განგმირავს დემონურ ბოროტებას და ის გამოიდევნება მემარხულისაგან.

როდის შეიძლება დავარღვიოთ მარხვა?

თუ ვინმე გირჩევთ, რომ არ იმარხულოთ, რათა არ დასუსტდეთ, ნუ ერწმუნებით და ნუ დაუჯერებთ. ნუ დაარღვევთ მარხვას, თვინიერ მეტისმეტად სერიოზული ავადმყოფობისა (ასეთ შემთხვევაში მიმართეთ მოძღვარს კურთხევისათვის.

შეიძლება თუ არა მარხვის დროს იმ საკვების მიღება, რომელიც ეკლესიურად დაშვებულია, მაგრამ განსაკუთრებულ სიამეს გვანიჭებს?

მარხვის დროს უმჯობესია თავი შევიკავოთ იმ საკვებისაგან, რომელიც მოგვწონს. გემოთმოყვარეობა ცოდვაა. გაძღომა კი ცოდვაა თვით სამარხვო კერძითაც.

საეკლესიო წესების თანახმად, რამდენი დღის მარხულობა მართებს საერო პირს ზიარების წინ?

საეკლესიო წესებით, საჭიროა მზადება ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ ეს დღეები საპატიო მიზეზით შეიძლება შემოკლდეს სამ დღემდე, ხოლო აუცილებლობის დროს (ნათესავი გარდაიცვალა, სახიფათო მოგზაურობა ელის და ა. შ.) მარხულობენ ერთი დღე.

დამრჩო

ამ დღეთ კაცები ნატრობენ,
რომ დააგროვონ სარჩო,
იმას კი აღარ ფიქრობენ,
რჩებათ როგორი დამრჩო.

ან რა ფასი აქვს თოლ-ოქროს,
საბადებელს და სარჩოს,
კარგ ცხენს, იარაღს, სასახლეს,
თუ გრჩება გონჯი დამრჩო.

მოხევე კაცი ნატრობდა,
ჰყვანიყო კარგი დამრჩო,
ვაჟკაცობა და სიკეთე —
ეს იყო მათი სარჩო.

ბედნიერია ის კაცი,
ვისაც ჰყავს კარგი დამრჩო,
თუნდ წუთისოფლის იქით,
ქარს წაუღია სარჩო.

ჯულიეტა ავსაჯანიშვილი

რედაქტორი მანონი გოგიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ ფიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის ფმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი